განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 3-5 ოქტომბერი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26.11.2019

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი (დაწყებითი - I-IV კლასის მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა) განათლების მაგისტრი (დაწყებითი - I-IV კლასის ქართული ენა და ლიტერატურა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის მათემატიკა) მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი: 0114
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო, ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სტუდენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში მოხსენიებული როგორც „სასწავლო უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად ISCED F კოდს 0114 შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა განათლების მაგისტრი(დაწყებითი - I-IV კლასის მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა); განათლების მაგისტრი (დაწყებითი - I-IV კლასის ქართული ენა და ლიტერატურა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის მათემატიკა)

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტორ პროგრამა მოიაზრებს სწავლის 10 (ათი) შედეგს, რომელიც შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებლის დარგობრივ კომპეტენციებს. შესაბამისად, ჩამოყალიბებული შედეგები შინაარსობრივად აღწერს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პოტენციური სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შედეგად. „მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით“ (ISCED F-ის კოდი 0114) შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონეს.

საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2018-2019 სასწავლო წელს, შესაბამისად, იგი შეფასების მომენტისთვის არაა მოქმედი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს და ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამის გამოცდილებას და შედეგებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამა საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავდება საგნობრივი დატვირთვით, კვლევითი კომპონენტის დამატებით და სასკოლო პრაქტიკის უზრუნველყოფით.

პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს **სრული ზოგადი, ან მასთან გათანაბრებული განათლების და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები.** პროგრამაზე მიიღებიან აგრეთვე **უცხო ქვეყნის მოქალაქეები** უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, ტექნიკური თვალსაზრისით, შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებსაქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად

(მუხლიდ 46[2]). პროგრამით განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობაა 300. პროგრამა შინაარსობრივად მოიცავს შემდეგ მოდულებს: საუნივერსიტეტო კურსები 45 კრედიტით ქულის ოდენობით (რომელთაგან 40 სავალდებულო, ხოლო 5 არჩევითი კრედიტ ქულაა); ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდულები - 183 კრედიტ ქულის ოდენობით (რომელთაგან 104 კრედიტ ქულა ეკუთვნის საგნობრივი ჯგუფის შესწავლის დისციპლინებს, 15 - სპეციალობის არჩევითი კურსებს, 64 - პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დისციპლინებს); სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული (72 კრედიტ ქულის მოცულობით). შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით, პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 24 მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი დაიგეგმა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის № 828 ბრძანების საფუძველზე. ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 4 ოქტომბერს და წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა: მარიამ ბანძელაძე, მიხეილ გიორგაძე, თეონა კუპრაზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მიზნიდა გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ინტეგრირებული პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ხარისხის სამსახურის ხელმღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. ვინაიდან პროგრამა არაა მოქმედი, შესაბამისად, ვიზიტის განმავლობაში გასაუბრება მოხდა მაგისტრატურის და მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუები გაიმართა დამსაქმებლებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში და პოტენციურად მომავალი სტუდენტების სტაჟირებას.

ექსპერტების ჯგუფს ჰქონდათ შესაბამისი დრო დაესვათ კითხვები, ჩაენიშნათ ინფორმაცია და გამოეტანათ სათანადო დაკსვნები. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალვრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. საერთო ჯამში, სტანდარტი 1 შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგანაც სასწავლო უნივერსიტეტის

წარმომადგენლებს კარგად გააზრებული აქვთ პროგრამის მნიშვნელობა რეგიონისთვის, ესმით საკუთარი შედარებითი უპირატესობა სხვა უნივერსიტეტებთამ შედარებით, მაგრამ ესაჭიროებათ მეტი ემპირიული მტკიცებულება აღნიშნულის დასადასტურებლად. ამასთანავე, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს რევიზიას, რათა წარმოჩინდეს პროგრამის უპირატესობა და გახდეს კონკურენტული ბაზარზე.

სტანდარტი 2 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", რადგანაც მიუხედავად სასწავლო უნივერსიტეტის მზაობისა, პროგრამა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის კუთხით, დასახვეწია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და გასაძლიერებელია კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა და კონცეფცია. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში არის აღნიშნული ლაფსუსის გამოსწორების ადამიანური რესურსი და მზაობა.

სტანდარტი 3 ასევე შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". სასწავლო უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობს ჯანსაღი და სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი გარემო. თუმცა, სასწავლო უნივერსიტეტში ნაკლები გამოცდილებაა აკუმულირებული სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია შეივსოს უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით, არსებული კადრის გადამზადებით და დატრენინგებით.

სტანდარტი 4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოში თანაბრად არიან ჩართულები აფილირებული და მოწვეული ლექტორები. მათ გააჩნიათ საერთო ხედვა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. დამსაქმებლებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებული თანამშრომლობა, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების კარგი წინაპირობაა. სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული თანამშრომლების პროფესიული განვითარება.

სტანდარტი 5 ასევე შეიძლება შეფასდეს როგოც შესაბამისობა მყოფი. მიუხედავად გარკვეული ლაფსუსებისა, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმი და მზაობა დაიხვეწოს ხარისხის განვითარების მექანიზმი.

- **რეკომენდაციები**

უაღრესად მნიშვნლოვანია პროგრამის საჭიროების დასადასტურებლად ემპირიული მკტიცებულებების სისტემური შეგროვება და ანალიზი. ბაზრის კვლევის სიღრმისეული ანალიზი დაადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის შედარებითი უპირატესობას სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მიზნობრივი კითხვარების სრულყოფა, რათა სათადოდ გამოიკვეთოს როგორც ბაზარზე არსებული საჭიროებები, ასევე ის უნარები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კურსდამთავრებული. ასევე, აუცილებელია გამოვლინდეს და პროგრამას საფუძვლად დაედოს პოტენციური დამსაქმებლების ინდივიდუალური ან/და საერთო საჭიროებების ანალიზი. ამ ეტაპზე, წმოდგენილი ინფორმაცია მწირია და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული უნიფიცირებული მიდგომა პოტენციურ დამსაქმებლთან მიმართებაში ვერ ასაბუთებს პროგრამის აქყუალობას. ემპირიული მტკიცებულების გამყარების მიზნით, ასევე, საჭიროა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა (გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით),

ადგილობრივი კადრების დასაქმების დინამიკა (ბაზრის კვლევის შედაგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე), სტუდენტების რაოდენობა და ა.შ.

რეკომენდებულია სწავლის შედეგების გადახედვა და ლოგიკური დალაგება პროგრამის გაძლიერების მიზნით; ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი შედეგები საჭიროებს მხოლოდ ლოგიკურ გადაჯგუფებას, ინდივიდიალურ შემთხვევებში კი, შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან/და ფორმულირების შეცვლა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კუთხით, ასევე საჭიროა გაიწეროს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის წერის ვალდებულება, ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უცხო ენების შემსწავლელი სავალდებული და/ან არჩევით საგნები სტუდენტებს ცოდნის დონის შესაბამისად შესთავაზოს. აქვე აღსანიშნავია, რომ გადასახედია უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ენის კომპეტენციის სიღრმისეული ანალიზი, სხვადასხვა უნარის მიხედვით.

რეკომენდებულია არჩევითი კურსების შინაარსობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. არჩევითი კურსები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ უცხო ენის შესწავლის მოდულებით. ასევე, საჭიროა სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარკვეული ხედვა უცხო ენების შესწავლის სავალდებულო ან არჩევით კურსებში ჩართვის თაობაზე;

რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების კრედიტ ქულების მინიჭების გადახედვა, რათა იგი რეალურად შეესაბამებოდეს საგნით გათვალისწინებულ შინაარსსა და კომპლექსურობას. გარკვეული საგნებისთვის კრედიტ ქულების გაზრდა/შემცირება, პროგრამის შემუშავებაში ჩართულ გუნდს საშუალებას მისცემს მეტად ლოგიკურად განსაზღვროს პროგრამის შინაარსი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი მეტწილად გადახედვას საჭიროებს. რეკომენდებული სასწავლო კურსების ლოგიკური გადალაგება/გაერთიანება. წარმოდგენილ პროგრამაში ხშირად ვერ დასტურდება კონკრეტული საგნების სწავლების საჭიროება, ხშირ შემთხევვაში კი შესაძლებელია საგნების გაერთიანება თემატიკის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაიწეროს ამ კონკრეტული საგნის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სქემა. წარმოდგენილი შეფასების სისტემა მეტწილად უნიფიცირებულია, არ ითვალისწინებს თითოეული საგნის შინაარს. შესაბამისად, არაა განსაზღვრული თუ რომელი შეფასების კომპონენტი უზრუნველყოფს საგნით განსაზღვრული კონკრეტული შედეგების მიღწევას.

ასევე, ვინაიდან კვლევითი კომპონენტის დამატება აღნიშნული პროგრამის მთავარი განმასხვავებელი ნიაშია, რეკომენდებულია კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით გარკვეული საგნების მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის გადახედვა და კრედიტ ქულების შესაბამისად გადანაწილება; მნიშვნელოვანია გაიწეროს რომელი პრაქტიკა ემსახურება აქტიურ და პასიურ პრაქტიკას. გარდა ამისა, კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო საგნების შეფასების სისტემების გადახედვა უაღესად მნიშვნელოვანია, რათა

უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული ასპექტის მეტად გამოყაფა; ყურადღება უნდა გამახვილდეს და შეფასების მეტი ხვედრითი წილი უნდა მიენიჭოს კომპონენტებს, რომლებიც სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს ავითარებს. აღნიშნული საკითხი უნიფიცირებულად არის დარეგულირებული საგნებში და საჭიროებს გაძლიერებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევითი კომპონენტის და პედაგოგიური პრაქტიკის სწავლების/გაძღოლის მიზნით პროფესორ-მასწავლებლების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის. საჭიროა პროგრამაში ჩაერთოს შესაბამისი განათლების, სამეცნიერო მუშაობის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, ლექტორების პირადი საქმეების გაცნობით ვერ დასტურდება საკმარისი რესურსი კვლევითი კომპონენტის ხარისხიანად უზრუნველყოფისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტში დასახვეწია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და გამოცდილება. მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის პროგრამის განხორციელებაში ჩართვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხიანი ხელმძღვანელობა. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს პერსონალის გადამზადება და მიზნრობრივი ტრენინგების განხორციელება ხელმძღვანელობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული ბაზები, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული ბაზებიდან ინფორმაციის წვდომა. შესაბამისად, რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზების არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს შეიძენს. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭიროა შეიმუშაოს ეკექტრონულ ბაზებზე წვდომის წახალისების მექანიზმი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის შემუშავების, მონიტორინგის და გაუმჯობესების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უკეთ დოკუმენტირების პრაქტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალეობის დადასტურება. ოქმები, რომლებიც შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, სასურველია ასახავდეს პროცესში ჩართული მხარეების კონკრეტულად გამოთქმულ მოსაზრებებს, მსჯელობას და შესაბამის შედეგებს.

სასურველია გადაიხედოს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების წესი, ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმების დახვეწის მიზნით.

სასურველია ელექტრუნულ ბაზების შესახებ, მათი გამოყენების შესახებ ცნობიერების გაზრდა როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიური პერსონალის მხრივ, რადგანაც უაღრესად მნიშვნელოვანია დარგის თანამედროვე/აქტუალური მიღწევების ინტეგრირება სწავლების პროცესში.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე დართული პროგრამის დოკუმენტში არის ტექნიკური ხასიათის პრობლემა. საჭიროა საგნების სემესტრულად გადანაწილების გადახედვა და

გასწორება. სასურველია პედაგოგიური პრაქტიკის სემესტრული განფენილობის დაზუსტება, ასევე პედაგოგიურ პრაქტიკა 1-სა და 2 შორის განსხვავების წარმოჩინება.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს და ხელი შეუწყოს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა მეტ ჩართულობას.

სასურველია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები უფრო კომპექსურად ჩატარდეს, გაიდახედოს კითხვების ფორმულირება და უზურნველყოფილი იყოს მონაცემების სიღრმისეული ანალიზი.

სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მოიზიდოს აკადემიური პერსონალი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით;

სასურველია ცხადად გაიწეროს უცხოელი მოწვეული ლექტორის ფუნქციები და მოვალეობები და აღნიშნული ინფორმაცია სათანადოდ იყოს ინტეგრირებული პროგრამის დოკუმენტში.

სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებს - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის და წარუდგენს მას ხარისხის სამსახურს, რომელიც შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღებს გადაწყვეტილებს ცვლილებების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გამოვლიდან რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა:

პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყო მონაწილეობითი პრინციპის გატარება. პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც აფილირებული და მოწვეული ლექტორები, ასევე დამსაქმებლები. ასევე, ცალსახად დადებითი პრაქტიკა იყო აღნიშნულ საქმიანობაში მშობლის ჩართულობა, რაც ხაზს უსვამს სასწავლო უნივერსიტეტის მზაობას გაითვალისწინოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამის დახვეწის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტებს ჩაერთონ აკადემიურ ცხოვრებაში. სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური-ტექნიკური ბაზა ცალსახად ადასტურებს ზემოთხსენებულს. უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცე მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. შვილიან სტუდენტებს შეუძლიათ მათი ლექციებზე ყოფნის პერიოდში, ბავშვი აღნიშნულ სივრცეში დატოვონ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში მოხსენიებული როგორც „სასწავლო უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად ISCED F კოდს 0114 შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა განათლების მაგისტრი(დაწყებითი - I-IV კლასის მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა); განათლების მაგისტრი (დაწყებითი - I-IV კლასის ქართული ენა და ლიტერატურა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის მათემატიკა) საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2018-2019 სასწავლო წელს, შესაბამისად, იგი შეფასების მომენტისთვის არაა მოქმედი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს და ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამის გამოცდილებას და შედეგებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამა საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავდება გაზრდილი საგნობრივი დატვირთვით, კვლევითი კომპონენტის დამატებითა და ასევე, სასკოლო პრაქტიკის მოცულობით. პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი სრულიად გააზრებული და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის განცხადებული მიზნის საჯაროობას, აღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ვებ გვერდეზე, ასევე, ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრებზეც მიეწოდებათ.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და სრულიად შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიზანს და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მკაფიოდ აქვს გააზრებული პროგრამის საჭიროება. ინტერვიუებით დასტურდება, რომ საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანახმად, საპენსიო ასაკის პედაგოგების პროფესიიდან გასვლის შედაგად, რეგიონში აშკარად იქმნება ვაკანტური ადგილები, რომელთა შევსება უპრიანია ადგილობრივ უნივერსიტეტში მომზადებული კადრებით, რომელთაც გააზრებული ექნებათ კონტექსტი და ადგილზე არსებული საჭიროებები. ინტერვიუების პროცესში, უნივერსიტეტის ადმინსიტრაცია, პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამის საჭიროებასა და მნიშვნელობას ასევე ადასტურებენ პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობით. კერძოდ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწფიო სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობს საზღვრისპირა რეგიონში, რაც უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღონ უმაღლესი განათლება. სასწავლო უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ნაწილობრივ დისტანციური სწავლების შესაძლებლობას (სალექციო შეხვედრებისა და თემების დისტანციურად გაზირება) და ასევე სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს. აკადემიური პერსონალი გამოთქვამს მზაობას მოერგონ სტუდენტების საჭიროებებს. არსებული ინფრასტრუქტურა ადასტურებს უნივერსიტეტის შესაძლებლობას უზრუნველყოს დე ფაქტო საზღვრისპირა ქალაქებიდან/დაბებიდან სტუდენტების მიღება და სასწავლო პროცესში მათი ინტეგრირება.

მიუხედავად ამისა, საჭიროა ინტერვიუების შედეგად განცხადებული ხედვისა და ლოგიკური საჭიროების ემპირიული მტკიცებულებებით გამყარება. უპირველეს ყოვლისა, პროგრამის შემუშავებისთვის საჭიროა ბაზრის კვლევა და შედეგების სიღრმისეული ანალიზი. სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია **2016 წლის 26 დეკემბრით** დათარიღებული აკადემიური საბჭოს *დადგენილება #46 „მიზნობრივი კვლევების განსახორციელებლად სტუდენტთა/კუსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმებისა და პროგრამის მონიტორინგის ჩატარების მიზნით შეფასების ფორმების დამკიცების შესახებ“.* ასევე, წარმოდგენილია კითხვარების ფორმები დამსაქმებლებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, ისევე როგორც ხარისხსი უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათი პროგრამის საჭიროების დადასტურების მიზნით. აღსანიშნავია, რომ საჭიროა, ზემოთ აღნიშნული კითხვარების სრულყოფა, რათა სათანადოდ გამოიკვეთოს როგორც ბაზარზე არსებული საჭიროებები, ასევე გამოვლინდეს ის უნარები, რომლებიც პოტენციურ კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს. ამას გარდა, ზემოთ აღნიშნული სამსახურეობრივი ბარათი არ შეიცავს კითხვარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს და შესაბამის დასკვნებს. წარმოდგენილია მხოლოდ დირექტორების წერილები, რომელთა იდენტური შინაარსი ეჭვს ბადებს და აშკარად მიუთითებს ანალიზის ნაკლებობაზე, რითაც იკარგება თითოეული პოტენციური დამსაქმებლის უნიკალური თუ საერთო საჭიროების წარმოჩინება.

პროგრამის საჭიროების დადასტურების მიზნით, ასევე უპრიანია სასწავლო უნივერსიტეტმა გაანხორციელოს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა (გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით), ადგილობრივი კადრების დასაქმების დინამიკა (ბაზრის კვლევის შედაგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე), სტუდენტების რაოდენობა და ა.შ. აღნიშნული შექმნიდა მნიშვნელოვან ემპირიულ მტკიცებულებას პროგრამის საჭიროებისა და სასწავლო უნივერსიტეტის შედარებითი უპირატესობის დასადასტურებლად უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებთან მიმართებაში. პროგრამის ინტერნაციონალიზიის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ ინოვესთან. თანამშრომლობის შედეგად მიღებული გამოცდილება და მასალები გამოყენებული იქნა პროგრამის შემუშავებაში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი მემორანდუმებით, ასევე აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა “PICASA”-ს „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, „KASEDE”, “DARE”, და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია; • პროგრამის აღწერა; • ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები (2016 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული აკადემიური საბჭოს დადგენილება #46 „მიზნობრივი კვლევების განსახორციელებლად სტუდენტთა/კუსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმებისა და პროგრამის მონიტორინგის ჩატარების მიზნით შეფასების ფორმების დამკიცების შესახებ“ • კითხვარების ფორმები დამსაქმებლებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის • ხარისხსი უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათი
რეკომენდაციები: • უაღრესად მნიშვნლოვანია პროგრამის საჭიროების დასადასტურებლად ემპირიული მკტიცებულებების სისტემური შეგროვება და ანალიზი. ბაზრის კვლევის სიღრმისეული ანალიზი დაადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის შედარებითი უპირატესობას სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მიზნობრივი კითხვარების სრულყოფა, რათა სათადოდ გამოიკვეთოს როგორც ბაზარზე არსებული საჭიროებები, ასევე ის უნარები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კურსდამთავრებული. ასევე, აუცილებელია გამოვლინდეს და პროგრამას საფუძვლად დაედოს პოტენციური დამსაქმებლების ინდივიდუალური ან/და საერთო საჭიროებების ანალიზი. ამ ეტაპზე, წმოდგენილი ინფორმაცია მწირია და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული უნიფიცირებული მიდგომა პოტენციურ დამსაქმებლთან მიმართებაში ვერ ასაბუთებს პროგრამის აქყუალობას. ემპირიული მტკიცებულების გამყარების მიზნით, ასევე, საჭიროა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი,

მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა (გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით), ადგილობრივი კადრების დასაქმების დინამიკა (ბაზრის კვლევის შედაგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე), სტუდენტების რაოდენობა და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტორ პროგრამა მოიაზრებს სწავლის 10 (ათი) შედეგს, რომელიც ეხმიანება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებლის დარგობრივ კომპეტენციებს. შესაბამისად, ჩამოყალიბებული შედეგები შინაარსობრივად აღწერს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პოტენციური სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შედეგად. „მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით“ (ISCED F-ის კოდი 0114) შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონეს. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს საქმიანობის სფეროს შესახებ სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვას, მათი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასა და მუდმივიდ განვითარების პროცესში ჩართულობას კვლევითი უნარ-ჩვევებით აღჭურვით

გზით, ისევე როგორც სტუდენტების მიერ თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას და ეთიკური პრინციპით ხელმძღვანელობის შესაძლებლობას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შედეგები საჭიროებს გადახედვას და დავიწროებას. მაგალითად, შეიძლება გაერთიანდეს მე-7 და მე-8 შედეგები (რიგითობის მიხედვით) - „შეუძლია როგორც მშობლიური, ასევე უცხოურ ენაზე (ინგლისური და გერმანული) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოიძიოს, აითვისოს და მიზნობრივად გამოიყენოს განათლების მეცნიერებებში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად“ და „შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით“. ასევე, ვფიქრობთ, რომ მე-5 და მე-9 შედეგები ფარავს ერთმანეთს - „იცის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვის, წარმართვისა და ანალიზის ძირითადი მიდგომები და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების აუცილებლობას უწყვეტი პროფესიული განვითარების და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში“ და „საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეუძლია შესაბამის დასკვნის გამოტანა, საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი ინტრვენციების დაგეგმვა, განხორციელება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდისა და საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით“.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ნათლად გამოვლინდა პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავების მონაწილეობითი მიდგომის გამოყენების პოზიტიური პრაქტიკა. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე დამსაქმებლები და მშობელიც კი. სასწავლო უნივერსიტეტში მშობლის ჩართულობის პრაქტიკა უდაოდ პოზიტიური და ინოვაციური მიდგომაა, მაგრამ საჭიროა აღნიშნული პრაქტიკის კიდევ უფრო მეტად სრულყოფა რათა ჩართული მხარე სრულად იყოს ინფორმირებული პროგრამის, შედეგებისა და კონკრეტულად მის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების ინტეგრირების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალსა თუ დამსაქმებლებს, გასაუბრების პროცესში მოჰყავდათ საკუთარი რეკომენდაციების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამაში. აღნიშნული ასევე დასტურდება სასწავლო უნიერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ოქმებით (სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის 20 დეკემბრის ბრძანება 01-01/43, 2019 წლის 20 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება #72, სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 13 მაისის ბრძანება 01-01/20), რომლებითაც დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავებაში ჩართვა.
აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იყო დამატებითი ოქმები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა პროგრამის შემუშავების უშუალო პროცესის გააზრება (აღნიშნული დოკუმენტაცია არ ერთვოდა თვითშეფასების ანგარიშს). გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილ ოქმებში არ არის ნათლად ასახული ჩართული მხარის მოსაზრებები და მათი მიღების ან უარყოფის შესახებ მსჯელობა. შესაბამისად, სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა პრაქტიკაში გაითვალისწინოს მსგავსი

სახის პროცესის ანალიზის უკეთ დოკუმენტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალეობის დადასტურება.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის (აკადემიური საბჭოს 14.05.2019 წლის დადგენილება #23 ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა“). ასევე, წარმოდგენილია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა (17.04.2019 წლის დადგენილება #13), რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გადახედვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი საჭიროებს მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების გაანალიზებისა და განზოგადების პრაქტიკის დახვეწას. მაგალითად, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების წესი, რომელიც ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია სხვადასხვა პროგრამებისთვის, დასახვეწია, რადგანაც ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმები (მაგ. მუხლი 6) საჭიროებს დაზუსტებას/დახვეწას კომპექსური ანალიზის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის 20 დეკემბრის ბრძანება 01-01/43
- 2019 წლის 20 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება #72
- სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 13 მაისის ბრძანება 01-01/20
- აკადემიური საბჭოს 14.05.2019 წლის დადგენილება #23 „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა“
- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა (მოკლევადიანი, გრძელვადიანი) - 17.04.2019 წლის დადგენილება #13
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების გადახედვა და ლოგიკური დალაგება პროგრამის გაძლიერების მიზნით; ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი შედეგები საჭიროებს მხოლოდ ლოგიკურ გადაჯგუფებას, ინდივიდიალურ შემთხვევებში კი, შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან/და ფორმულირების შეცვლა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა უზურნველყოს პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დეტალური დოკუმენტირების პრაქტიკა, რათა ცხადი გახდეს პროცესში ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა და დადასტურება. ოქმები, რომლებიც შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, სასურველია ასახავდეს პროცესში ჩართული მხარეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, აღწერილი იყოს მსჯელობა, დისკუსია და შესაბამისი შედეგები.
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების წესი, რომელიც ჩარჩო დოკუმენტია სხვადასხვა მიმდინარე პროგრამისთვის. დოკუმენტის დახვეწის შედეგად შესაძლებელი იქნება სწავლის შედეგების კომპლექსური ანალიზი, რაც განაპირობებს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას.
- პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიდგომის კარგი პრაქტიკის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის შემუშავებაში ჩართულ მხარეებთან დამატებითი კომუნიკაცია და მათი ინფორმირება პროგრამის შედეგების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობითი პრაქტიკის ხელშეწყობა; აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე პოტენციური დამსაქმებლები და მშობელი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, *„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს **სრული ზოგადი, ან მასთან გათანაბრებული განათლების და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები.** პროგრამაზე მიიღებიან აგრეთვე **უცხო ქვეყნის მოქალაქეები** უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად“.* აღნიშნული დათქმა ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტს. საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებში გათვალისწინებული ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის B2 დონე. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში საჭიროა გათვალისწინებული იყოს უცხო ენის კომპეტენციის დადგენის წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს სტუდენტების მიერ სავალდებულო კურსების გავლის შესაძლებლობა (საგნის კოდები: SUB.5.1.1 დან SUB.5.2.3-ის ჩათვლით).

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს, აკადემიური პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება მსგავსი დიაგნოსტიკური ტესტები, თუმცა ეს გაწერილი არაა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში. ამას გარდა, ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იყო დიაგნოსტიკური ტესტის ნიმუში (მაგ. ინგლისურ ენა), რომელიც არაა საკმარისი CEFR-ის (Common European Framework of Reference for Languages) შესაბამისი დონის (პროგრამის შემთხვევაში B2-ის) დამადასტურებელი ცოდნის ოთხი უნარის (მეტყველება, წერა, მოსმენა, კითხვა) შემოწმება. წარმოდგენილი ტესტით შესაძლებელია მხოლოს სტუდენტის გრამატიკის ცოდნის შეფასება. წარმოდგენილი სახით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია. სასწავლო უნივერსიტეტის არსებული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ვებ-გვერდზე www.zssu.ge, გავრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით, გაზიარებული იქნება საგანმანათლებლო რესუსცენტრებში და ზოგადი განათლების დაწესებულებებაში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის დოკუმენტი; • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრების შედეგები • აკადემიური საბჭოს 2019 წლის 17 ივნისის, დადგენილება # 28 „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალვრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსების დამტკიცების შესახებ“
რეკომენდაციები: • პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კუთხით, საჭიროა გაიწეროს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის წერის ვალდებულება, ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უცხო ენების შემსწავლელი სავალდებული და/ან არჩევით საგნები სტუდენტებს ცოდნის დონის შესაბამისად შესთავაზოს. აქვე აღსანიშნავია, რომ გადასახედია უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ენის კომპეტენციის სიღრმისეული ანალიზი, სხვადასხვა უნარის მიხედვით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, ტექნიკური თვალსაზრისით, შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (მუხლიდ 46[2]). პროგრამით განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობაა 300. პროგრამა შინაარსობრივად მოიცავს შემდეგ მოდულებს: საუნივერსიტეტო კურსები 45 კრედიტით ქულის ოდენობით (რომელთაგან 40 სავალდებულო, ხოლო 5 არჩევითი კრედიტ ქულაა); ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდულები - 183 კრედიტ ქულის ოდენობით (რომელთაგან 104 კრედიტ ქულა ეკუთვნის საგნობრივი ჯგუფის შესწავლის დისციპლინებს, 15 - სპეციალობის არჩევითი კურსებს, 64 - პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დისციპლინებს); სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული (72 კრედიტ ქულის მოცულობით). შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით, პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

ამასთანავე, პროგრამა შედეგენილია სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 10.04.19 -ით დათარიღებული #16 დადგენილება). შესაბამისად, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და განფენილობა 10 (ათი) სემესტრის განმავლობაში ეფუძნება შემდეგ ლოგიკას: (1) გაცნობითი სახის კურსები, რომლებიც სტუდენტებს ძირითადად თეორიული ცოდნით აღჭურვავს; (2) ცოდნის გაღრმავება, რაც მიზნობრივი საგნობრივი ჯგუფის საგნებით და მეთოდური მოდულებით შემოიფარგლება და (3) ცოდნის განმტკიცება, რომელიც ძითითადად სასკოლო პრაქტიკისა და კვლევითი კომპენტენციის განმტკიცებას ემსახურება. აღნიშნული შესახებ ინფორმირებულია აკადემიური პერსონალი და მათ ესმით ლოგიკური კავშირით სასწავლო კურსებს შორის.

საყურადღებოა, რომ სასწავლო პროგრამაში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო კურსების შერჩევა და მათი საჭიროების დადასტურება არაა ნათლად წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტსა თუ თვითშეფასების ანგარიშში (ინდივიდუალური სასწავლო კურსების ლაფსუსები განხილულია სტანდარტი 2.3-ში). ამასთანავე, ინტერვიუების, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად არ დგინდება პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისთვის კრედიტ ქულების განაწილების ლოგიკა. საგნების დიდი უმეტესობას, მიუხედავად განსხვავებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობისა, უნიფიცირებულად მინიჭებული აქვს 5 კრედიტ ქულა. მოცემული საგნების შინაარსობრივი დატვირთვა, ისევე როგორც მისი მოცულობა, ხშირ შემთხვევაში ალოგიკურია შეფასდეს ერთნაირი კრედიტ ქულით (დეტალურად განხილულია სტანდარტი 2.3-ში).

ასევე, პროგრამის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს არჩევითი მოდულების სიმწირე. აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო სასწავლო მოდულში გაერთიანებულია 8 (რვა) სავალდებულო საგანი, აკადემიური წერა, საინფორაციო ტექნოლოგიები, ფილოსოფიის ისტორია, დემოკრატია და მოქალაქეობა, და უცხო ენის 4 (ოთხი) საგანი. პროგრამაში და თვითშეფასებასში აღნიშნულია, რომ ამავე მოდულის ფარგლებში, სტუდენტი ირჩევს 1 (ერთი) არჩევით კურს 25 კრედიტიდან, თუმცა არჩევითი კურსების დიდი უმეტესობა ისევ უცხო ენის შესწავლას ეთმობა. შესაბამისად, გაურკვეველია რატომ არის მოცემული უცხო ენის შესწავლის საგნები როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებში, რაც კიდევ უფრო ამცირებს არჩევითი კურსების მრავალფეროვნებას. ასევე ინტერვიუების შედეგად, ვერ დადგინდა თუ როგორ ირჩევს სტუდენტი კონკრეტულ არჩევით მოდულს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი - აკადემიური საბჭოს 10.04.19 -ით დათარიღებული #16 დადგენილება
- პროგრამის დოკუმენტი
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია არჩევითი კურსების შინაარსობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. არჩევითი კურსები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ უცხო ენის შესწავლის მოდულებით. ასევე, საჭიროა სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარკვეული ხედვა უცხო ენების შესწავლის სავალდებულო ან არჩევით კურსებში ჩართვის თაობაზე;
- რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის კრედიტ ქულების მინიჭების გადახედვა, რათა იგი რეალურად შეესაბამებოდეს საგნით გათვალისწინებულ შინაარსსა და მის კომპლექსურობას. კრედით ქულების მინიჭება უნდა განხორციელდეს მოცემული საგნების შინაარსობრივი დატვირთვის,

მოცულობის და საჭიროებების მიხედვით. გარკვეული საგნებისთვის კრედიტ ქულების გაზრდა/შემცირება, პროგრამის შემუშავებაში ჩართულ გუნდს საშუალებას მისცემს მეტად ლოგიკურად განსაზღვროს პროგრამის შინაარსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე დართული პროგრამის დოკუმენტში არის ტექნიკური ხასიათის პრობლემა. საჭიროა საგნების სემესტრულად გადანაწილების გადახედვა და გასწორება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი მეტწილად გადახედვას საჭიროებს. პროგრამის საგნობრივი დატვირთვის სქემა, ვერ ადასტურებს თუ რა ლოგიკით მოხდა ინდივიდუალურ საგნების შერჩევა. ხშირ შემთხვევაში საგნებს შორის გადაფარვა ფიქსირდება, როგორც მიზნებისა და შედეგების, ასევე შინაარსობრივი მხარის მიხედვით. ასევე, გაურკვეველია კონკრეტული სასწავლო კურსების საჭიროება მასწავლებლის პროგრამის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. წარმოგიდგენთ სასწავლო კურსების ანალიზს:

1. კარიერის მართვა (5 ECTS) სავალდებულო საგანია, რომელიც საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მოდულში შედის. იგი შემოთავაზებულია როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე. იმავე მოდულში, ასევე, ცალკე საგნად ისწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (5 ECTS). უპირველეს ყოვლისა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი წარმოდგენილი შინაარსით შეეფერება ბიზნესი ადმინისტრირების პროგრამას, ვიდრე მასწავლებლის მომზადების პროგრამას. გარდა ამისა, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დისციპლინების მოდულში ისწავლება საგანი სკოლის მართვა და საგანმანათლებლო სისტემების სამართლებრივი აქტები (ECTS). აღნიშნულ საგანში თავისუფლად შესაძლებელია ინტეგრირდეს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და ზოგადი განათლების სასწავლო დაწესებულების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ცალკეული თემების სახით. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ „კარიერის მართვა“ და „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, ორივე არჩევითი საგნების ჩამონათვალში მოიაზრება, აღნიშნული საგნების შინაარსობრივი გადაფარვა იწვევს არჩევითი საგნების რაოდენობის კიდევ უფრო შემცირებას.
2. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დისციპლინების მოდულში მოცემულია საგანი „განათლება მდგრადი განვითარებისვის“ (4 ECTS). აკადემიური პერსონალის მიერ ვერ დასახელდა აღნიშნული საგნის ცალკე დისციპლინად სწავლების მიზანი ან გადაწყვეტილების ლოგიკა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მოდულში მოცემულია საგანი „დემოკრატია და მოქალაქეობა“ (5 ECTS). აღნიშნული საგანი თავისუფლად შეითავსებს შინარსობრივად საგანს „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ თუკი იგი დამოუკიდებელ თემად შევა შინაარსში.
3. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივ და მეთოდურ მოდულში გაერთიანებულია საგანი „მათემატიკის გაკვეთილის დაგეგმვა სწავლების ინოვაციული მეთოდებისა და ისტ ტექნოლოგიბეს გამოყენებით“ (5 ECTS), ასევე ცალკე საგნებია „ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესებში“ (5 ECTS) და“მარტივი ექსპერიმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება“ (5 ECTS). პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დისციპლინების მოდულში, ამავდროულად, შედის საგანი „თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“ (5 ECTS). საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მოდულში შედის „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ (5 ECTS). მიუხედავად იმისა რომ უდაოდ საჭიროა მომავლის მასწავლებლების ტექნოლოგიური უნარ-ჩვევებით აღჭურვა, ლოგიკურ ახსნას საჭიროების ამ მიმართულებით საგნების სიმრავლე. შესაძლებელია აღნიშნული საგნების გადალაგება ან/და გაერთიანება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებისა და მათი მეთოდოლოგიურად გამოყენების კუთხით სხვადასხვა დარგობრივი საგნის მოთხოვნის გათვალისწინებით.
4. საგნები „ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია“ (4 ECTS) და „უმცროსი სასკოლო და გარდატეხის ასაკის ფსიქოლოგია და განვითარებისა და სწავლების მეთოდები (5 ECTS) შეიძლება გაერთიანდეს და გამსხვილდეს.
5. „ბუნებისმეტყველების სწავლების ზოგადი მეთოდიკა“ (5 ECTS) და „ბუნებისმეყვეტლების სწავლების პროცესის დაგეგმვა და შეფასების“ (6 ECTS)

გაერთიანება ასევე მიზანშეწონილი შეიძლება იყოს განმეორებული თემატიკის გათვალისწინებით.

6. ცალკე საგნად ისწავლება „მასწავლებლის ეთიკა“ (4 ECTS), რომლის შინარსობრივი მოცულობის გათვალისწინებით (რაც წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით დგინდება) აშკარად შესაძლებელია აღნიშნული თემების საგნის „სკოლის მართვა და საგანმანათლებლო სისტემების სამართლებრივი აქტები“ თემებთან ინტეგრირება.
7. ასევე, შინაარსობრივი მხარიდან გამომდინარე, შესაძლებელია საგნების „სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვა“ (5 ECTS) და „უსაფრთხო სკოლა, კონფლიქტების მართვა“ (4 ECTS) გაერთიანება.
8. სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული განხილულია სტანდარტი 2.4.

საგნების მრავალფეროვნება მეტყველებს სასწავლო უნივერსიტეტში დაგროვილ ცოდნასა და აკადემიურ პერსონალის შესაძლებლობაზე ეფექტიანად გამართონ პროგრამის შინაარსი. შესაბამისად, აღნიშნული შემოთავაზებებით შეიძლება სასწავლო კურსების კრედიტ ქულების განსაზღვრის გადახედვა, ასევე, მათი მოცულობის გაზრდა სემესტრული დატვირთვის გათვალისწინებით, რაც თავისთავად გააძლიერებს პროგრამის შინაარსობრივ მხარეს. ასევე, შესაძლებელი კონკრეტული საგნების არჩევით მოდულებად გადატანა. ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა პროგრამის ხელმღვანელებისა და თანახელმძღვანელების მხრიდან მიმღებლობა და მზაობა პროგრამის შინაარსობრივი მხარის გადახედვასთან დაკავშირებით, რაც ცალსახად დადებითი ტენდენციაა სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან. მათ თავად დაადასტურეს პროგრამის შინაარსობრივი მხარის გადახედვის საჭიროება.

წარმოდგენილ სილაბუსებში არ არის მოცემული სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. მოცემული შეფასების სისტემა უნიფიცირებულია ყველა საგნისთვის. ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ მათ მექანიკური ფორმით აქვთ ინტეგრირებული შეფასების სისტემა საკუთარი სილაბუსებში, რაც არ ითვალისწინებს თითოეული საგნის მიზნებისა და სწავლის შედეგების სპეციფიკას. ამას გარდა, სილაბუსებში არაა წარმოდგენილი თუ რომელი შეფასების კომპონენტით არის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსის თითოეული შედეგის მიღწევა. მაგალითად, დასვნითი გამოცდით (მისი შინაარსის და ფორმატის გათვალისწინებით) და/ან ზეპირი გამოკითხვით თუ პრეზენტაციით რომელ შედეგებზე ხდება გასვლა. მნიშვნელოვანია სილაბუსებში შეფასების სისტემა და შესაბამისი კომპონენტები ისე იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყოს სასწავლო კურსით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება დარგის აქტუალურ მიღწევებს. წარმოდგენილი სახელმძღვანელოები განეკუთვნება ბოლო ათწლეულს. წიგნები ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გასაუბრების შედეგად, აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემების ონლაინ-კატალოგის სერვისი, ასევე დაინტერესებულ მხარეებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა რომელიმე ბაზიდან რესურსის ჩამოტვირთვა, რადგანაც

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თუ აკადემიურმა პერსონალმა ვერ წარმოადგინა წვდომის კოდი. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება თუ რამდენად ახერხებენ რეალურად სტუდენტები და აკადემიური პერსონალი აღნიშნული ბაზების გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის დოკუმენტი
- სილაბუსები
- საბიბლიოთეკო რესურსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი მეტწილად გადახედვას საჭიროებს. რეკომენდებული სასწავლო კურსების ლოგიკური გადალაგება/გაერთიანება რათა უზრუნველყოფილი იყოს მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების სათანადო ინფორმაციით აღჭურვა და პროფესიული კარიერისთვის მომზადება. ვინაიდაინ, წარმოდგენილი საგნები შესაძლებელია ხშირ შემთხვევაში თემის სახით შევიდეს სხვა რომელიმე საგნის ფარგლებში ამ გარკვეული საგნები, შინაარსობრივი მხარის და სასწვლო შედეგების გათვალისწინებით გაერთიანდერს, პროგრამის მთლიანი შინაარსი უკეთ გააზრებას საჭიროებს. პროგრამის შინაარსის გადახედვის შედეგად, ნათლად გამოჩნდება თითოეული საგნისთვის კრედიტ ქულების მინიჭების გადალაგების საჭიროებაც.
- რეკომენდებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული იყოს ამ კონკრეტული საგნის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, წარმოდგენილი სილაბუსებით სტუდენტისთვის არაა თვალსაჩინო შეფასების რომელი მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგის მიღწევას. ვინაიდან წარმოდგენილი სახით, შეფასების სისტემა უნიფიცირენულია, იგი არ იძლევა საგნის ინდივიდუალური შედეგების წარმოჩინების შესაძლებლობასაც.
- რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზების არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს შეიძენს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ელექტრუნულ ბაზების შესახებ, მათი გამოყენების შესახებ ცნობიერების გაზრდა როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიური პერსონალის მხრივ, რადგანაც. მნიშნველოვანია დარგის თანამედროვე/აქტუალური მიღწევების ინტეგრირება სწავლების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის განსხვავებულობა არსებულ საბაკალავრო პროგრამასთან შედარებით, სწორედ, კვლევითი კომპონენტის და სასწავლო პრაქტიკის მოდულის დამატება და გაძლიერებაა. კვლევითი კომპეტენციის განვითარების მიზნით, პროგრამაში განსაზღვრულია 3 (სამი) სავადებულო საგანი: კვლევის ინოვაციული მეთოდები (5 ECTS); კვლევის დიაგნოსტიკა და დიფერენცირებული მიდგომა (5 ECTS); პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში (5 ECTS). უპირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, მოცემული სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსიც კი მეორდება (განსაკუთრებით კვლევის ინოვაციული მეთოდებისა და პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში შემთხვევაში). შესაბამისად, ვითვალისწინებთ რა მასწავლებლებში კვლევის უნარ-ჩვევების განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მნიშვნელოვანია აღნიშნული 15 კრედიტი ეფექტიანად გადანაწილდეს, შესაბამისად საჭიროა საგნების გაერთიანება/გამსხვილება/შინაარსის გადახედვა. გარდა ამისა, აღნიშნული საგნების შეფასების სისტემა არის მეტწილად იდენტური. კვლევის ინოვაციული მეთოდების შემთხვვევაში შუალედურ შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია კვლევა, რომელიც 12 ქულით ფასდება, რაც სტუდენტენს მიენიჭებათ მხოლოდ ანკეტის

ტექნიკული შევსების შემთხვევაში. ასევე, შუალედური შეფასების კომპონენტია ანალიზი, რომლისთვისაც მხოლოდ 5 ქულაა გამოყენებული. შუალედური და დასკვნითი შეფასების დანარჩენ კომპონენტებში კი სტუდენტის მხოლოდ თეორილი ცოდნა ფასდება წარმოდგენილი დავალების მიხედვით. „კვლევის დიაგნოტსიკა და დიფერენციული მიდგომის“ შემთხვევაში ანალოგიურად არის განაწილებული შეფასების კომპონენტები, რაც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისთვის კვლევითი კომპეტენციის მიღწევის შეფასებას. „პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში“ - შუალედური შეფასების კომპონენტია პრაქტიკული სამუშაო, რომელიც 26 ქულით ფასდება, თუმცა არაა წარმოდგენილი თუ რა სახის პრაქტიკული სამუშაო უნდა შეასრულოს სტუდენტმა. იქვე ნახსენებია ზეპირი გამოკითხვა, რაც გაუგებარს ხდის პრაქტიკული სამუშაო ზეპირ გამოკითხვას გულისხმობს თუ რაიმე სხვა ტიპის დავალებას. შუალედერული შეფასების კომპონენტია რეფერატი, რომელიც მხოლოდ 10 ქულით ფასდება. სავარაუდოდ, ეს არის ძირითადი კომპონენტი, რომელიც ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომისთვის, შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი კომპლექსური ხასიათი, ისევე როგორც სათანადო ქულით შეფასება. აქვე, რეფერატის წარმოდგენა ხდება პრეზენტაციის სახით, რომელიც 9 ქულით ფასდება. რაც შეეხება შუალედური და დასკვნითი შეფასების წერით კომპონენტებს, მათი მეშვეობით ისევ თეორიური ცოდნა ფასდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საგნების შინაარსის შემთხვევაში, მეტი პრაქტიკული საქმიანობის შემოტანა და შესაბამისად, მათი შეფასების სისტემაში გათვალისწინება.

ზემოთ-ჩამოთვლილი სამივე საგანი ერთიდაიმავე პროფესორების მიერ იკითხება (ნატო ქობულაძე, ნანა ხუფაცარია, ლევალ ღურცკაია, შორენა გაგუა). აღნიშნული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მხოლოდ ქალბატონ ნატო ქობულაძეს გააჩნია შესაბამისი განათლება, გავლილი აქვს სათანადო პრაქტიკული კურსები, აქვს შესაბამისი პუბლიკაციები, რათა გაუძღვეს კვლევაზე ორიენტირებული საგნების სწავლებას სასწავლო უნივერსიტეტში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკა, მათ შორის, 30 კრედიტი არის ძირითადი საგნობრივი ჯგუფის პრაქტიკა (პედაგოგიური პრაქტიკა 1 – 15 ECTS და პედაგოგიური პრაქტიკა 2 - 15 ECTS), ხოლო 6 კრედიტი ეთმობა სპეციალობით არჩევით მოდულებს (მათემატიკა 5-6 ან ქართული ენა და ლიტერატურა 5-6). პედაგოგიური პრაქტიკა უდაოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მომავალი მასწავლებლების ჩამოყალიბების პროცესში. პროგრამის დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სქემაში დაშვებულია ტექნიკური სახის შეცდომა, პედაგოგიური პრაქტიკის სემესტრული გადანაწილების კუთხით. შესაბამისი სილაბუსების შესწავლის შედეგად ასევე, ვერ დადგინდა რომელ სემესტრში ხორციელდება აღნიშნული პრაქტიკა. ასევე, დასაზუსტებელია განსხვავება პედაგოგიურ პრაქტიკა 1-სა და 2 -ს შორის. დასაზუსტებელია რომელი მათგანი მოიცავს პასიურ და აქტიურ პრაქტიკას.

აქვე აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმენი რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებთან. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად, აშკარად გამოიკვეთა მათი ინტერესი და მზაობა ხელი შეუწყონ როგორც პედაგოგიურ

პრაქტიკას, ასევე განიხილონ სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობა, ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეგიონში მენტორი მასწავლებლებლების ნაკლებობაა, რომელთა მონაწილეობა პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების პროცესში ჩართულობა პროგრამას კიდევ უფრო გააძლიერებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტსა და რეგიონის ზოგადი განათლების დაწესებულებებს შორის წარმატებული თანამშრომლობა საკმაოდ მკაფიოდ წარმოჩინდა. დირექტორები საუბრობდნენ სკოლის მზაობაზე შესთავაზონ მათ ლაბორატორიები, აუდიტორიები, საჭიროების შემთხვევაში, რაც ხაზს უსვამს მათ შორის თანამშრომლობის მდგრადობას და ეფექტურობას. ვინაიდან პროგრამა ახალია, სამაგისტრო ნაშრომები არაა წარმოდგენილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში მწირი გამოცდილებაა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის კუთხით, რაც თავად აკადემიურმა პერსონალმაც დაადასტურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის დოკუმენტები • სილაბუსები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები • სასაწვლო უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები • პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები • სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია • სამეცნიერო განყოფილების სტრატეგიული გეგმა • გასაუბრების შედეგების
რეკომენდაციები: • ვინაიდან კვლევითი კომპონენტის დამატება აღნიშნული პროგრამის მთავარი განმასხვავებელი ნიაშია, რეკომენდებულია კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით გარკვეული საგნების მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის გადახედვა და კრედიტ ქულების შესაბამისად გადანაწილება; მნიშვნელოვანია გაიწეროს რომელი პრაქტიკა ემსახურება აქტიურ და პასიურ პრაქტიკას. გარდა ამისა, კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო საგნების შეფასების სისტემების გადახედვა უაღესად მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული ასპექტის მეტად გამოყაფა; ყურადღება უნდა გამახვილდეს და შეფასების მეტი ხვედრითი წილი უნდა მიენიჭოს კომპონენტებს, რომლებიც სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს ავითარებს. აღნიშნული საკითხი უნიფიცირებულად არის დარეგულირებული საგნებში და საჭიროებს კონკრეტული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდიფიცირებას. • აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევითი კომპონენტის და პედაგოგიური პრაქტიკის სწავლების/გაძღოლის მიზნით პროფესორ-მასწავლებლების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის. საჭიროა პროგრამაში ჩაერთოს

შესაბამისი განათლების, სამეცნიერო მუშაობის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, ლექტორების პირადი საქმეების გაცნობით ვერ დასტურდება საკმარისი რესურსი კვლევითი კომპონენტის ხარისხიანად უზრუნველყოფისთვის. • სასწავლო უნივერსიტეტში დასახვეწია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და გამოცდილება. მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის პროგრამის განხორციელებაში ჩართვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხიანი ხელმძღვანელობა. • ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტში აშკარად გამოიკვეთა კვლევის კომპონენტის გაძლიერების საჭიროება, მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სხვადასხვა სახის კვლევით პროექტებში. საჭიროა დაიგეგმოს კონკრეტული ტრენინგები ამ მიმართლებით, ან დაფინანსდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების კურსები (გაცვლითი პროგრამები). აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის გეგმაში. ...
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პედაგოგიური პრაქტიკის სემესტრული განფენილობის დაზუსტება, ასევე პედაგოგიურ პრაქტიკა 1-სა და 2 შორის განსხვავების წარმოჩინება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირების მიერ სტუდენტისთვის სწავლება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2007 წლის 5 იანვრით დათარიღებული ბრძანება #3-ის შესაბამისად. სილაბუსების შესწავლის და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები დანამდვილებით იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთანავე, მეთოდების გამოყენება შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ მეთოდებს, ხოლო ლექტორები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარკვეულ შემთხვევებში აღინიშნა კიდეც, რომ ლექტორი ითვალისწინებს ჯგუფის მომზადების და ცოდნის დონეს, რის საფუძველზეც შესაძლებელია როგორც შინაარსის გადახედვა, ასევე სწავლების მეთოდების შეცვლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრების შედეგები; • სასწავლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • სილაბუსები • გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული საგნის შეფასების სისტემა მეტწილად უნიფიცირებულია. ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ისინი უნიფიცირებული შეფასების სისტემითა და შესაბამისი რუბრიკებით ხელმძღვანელობენ, რითაც შეუძლებელი ხდება თითოეული საგნის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება. ამას გარდა, სილაბუსებში არაა წარმოდგენილი თუ რომელი შეფასების კომპონენტით არის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსის თითოეული შედეგის მიღწევა. ხშირ შემთხვევაში, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები საჭიროებს გადახედვას (განსაკუთრებით კვლევაზე ორიენტირებულ საგნებში), რათა სათანადოდ შეფასდეს როგორც სასწავლო საგნის, ასევე მთლიანობაში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად, შეიძლება ავღნიშნოთ, რომ მოცემულია შეფასების კომპონენტები, განსაზღვრულია თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი და გაწერილია შეფასების რუბრიკა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი შეფასების რუბრიკა უნიფიცირებული სხვადასხვა საგნებში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. ლექტორი საჭიროებისამებრ აწვდით მათ ინფორმაციას შეფასების შესახებ, ხდება შედეგების განხილვა. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას. მათ შეძლეს დაესახელებინათ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათ გამოთქვეს ულმაყოფილება მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით, რასაც ადეკვატური რეაგირება მოჰყვა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აღნიშნულ შემთხვევებში მიიღებს ამომწურავი ინფორმაცია, შესაბამისად, მექანიზმი მათთვის სრულიადნ მისაღებია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• სილაბუსების • გასაუბრების შედეგები • გამოკითხვის შედეგები • ელექტრონული პორტალი
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაიწეროს ამ კონკრეტული საგნის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სქემა. წარმოდგენილი შეფასების სისტემა მეტწილად უნიფიცირებულია, არ ითვალისწინებს თითოეული საგნის შინაარს. შესაბამისად, არაა განსაზღვრული თუ რომელი შეფასების კომპონენტი უზრუნველყოფს საგნით განსაზღვრული კონკრეტული შედეგების მიღწევას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების			X	

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ზუგდიდის სსიპ - შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები. უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია დაგეგმილ აქტივობებზე, როგორც უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ასევე, სოციალური ქსელების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან აღნიშნულ პროგრამას არ ყავს მოქმედი სტუდენტები, გასაუბრები შედგა მასწავლებლის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ როგორც აკადემიურ, ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე უნივერსიტეტის პერსონალთან. აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა ითვალისწინებს საკონსულტაციო საათებსაც, აღნიშნული ასევე ასახულია სხვადასხვა სილაბუსი. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ცდილობს აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს შესთავაზოს ინდივიდუალური გრაფიკები, რაც ითვალისწინებს ნაწილობრივად დისტანციურ სწავლებას. უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელშიც განთავსების უფლებაც სტუდენტებს, საჭიროებიდან გამომდინარე, შეუზღუდავად ეძლევათ.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ლექტორები სტუდენტებს აცნობენ სილაბუსის შინაარს, სწავლების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს. მათ იციან შეფასების გასაჩივრების პროცედურა და მექანიზმები. სტუდენტებმა დაასახელეს ინდივიდუალური შემთხვევები, როდესაც მათ მოითხოვეს შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება, რაც დაკმაყოფილებული იყო როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე ლექტორების მიერაც. სტუდენტები მიიჩნევენ რომ სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია ჯანსაღი გარემო და აკადემიური პერსონალი ორიენტირებულია ხელი შეუწყონ მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კარიერის დაგეგმვის კურსებით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საუნივერსიტეტო პროექტებისა და კონფერენციების შესახებ და სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ

მონაწილეობა მიიღონ მათში. ისინი იცნობენ საერთაშორისო ღონისძიებებს და გაცვლით პროგრამებსაც, თუმცა ნაკლებად ინტერესდებიან მათში მონაწილეობით. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის და ზოგადად, სტუდენტების პროფესიული განვითარების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს და ხელი შეუწყოს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობას. ვინაიდან სტუდენტებმა გასაურების პროცესში აშკარად გამოხატეს აღნიშნულ პროგრამებში ჩართვის სურვილის არ არსებობა სხვადასხვა მიზეზთა გამო, სასურველია სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან მეტი ძალისხმევა განხორციელდეს და ეფექტიანად მოხდეს კომუნიკაცია საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში ჩართვის დადებით მხარეებთან დაკავშირებით.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციულმა პერსონალმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ სემესტრულად აფასებენ სასწავლო კურსს და ლექტორის ეფექტურობას უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარების საშუალებით. მიუხედავად ამისა, სასურველია კითხვარების სრულყოფა და შედეგების ანალიზის კომპლექსურობის უზრუნველყოფა. აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალმა დაადასტურა რომ რეგულარულად ეცნობიან სტუდენტთა შეფასებებს და ცდილობენ გაითვალისწინოთ შედეგები მომდევნო სასწავლო კურსების შედგენასა და განვითარებაში, თუმცა აღნიშნული რაიმე სახის ემპირიული მტკიცებულებით არ დასტურდება.

ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში. მაგალითად, მასწავლებლის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სამართლის კურსს, სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, დაემატა კაზუსები. კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ მათი რეკომენდაცია იყო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, რასაც ახალი პროგრამა ითვალისწინებს.

გასაუბრების შედეგად, აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემების ონლაინ-კატალოგის სერვისი, ასევე დაინტერესებულ მხარეებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა რომელიმე ბაზიდან რესურსის ჩამოტვირთვა, რადგანაც ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თუ აკადემიურმა პერსონალმა ვერ წარმოადგინა წვდომის კოდი. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება თუ რამდენად ახერხებენ რეალურად სტუდენტები და აკადემიური პერსონალი აღნიშნული ბაზების გამოყენებას.

უნივერსიტეტი ზრუნავს აამაღლოს სტუდენტთა ცნობიერება აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში გამოკრულია საინფორმაციო ბანერები და ინერგება მუდლის სისტემა, სადაც დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაივლის კონტროლს პლაგიატზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი.
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები: • სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული ბაზები, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული ბაზებიდან ინფორმაციის წვდომა. შესაბამისად, რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზების არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს შეიძენს. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭიროა შეიმუშაოს ეკექტრონულ ბაზებზე წვდომის წახალისების მექანიზმი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს და ხელი შეუწყოს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობას. • სასურველია ელექტრუნულ ბაზების შესახებ, მათი გამოყენების შესახებ ცნობიერების გაზრდა როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიური პერსონალის მხრივ. მნიშნველოვანია დარგის თანამედროვე/აქტუალური მიღწევების ინტეგრირება სწავლების პროცესში. • სასურველია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები უფრო კომპექსურად ჩატარდეს, გაიდახედოს კითხვების ფორმულირება და უზურნველყოფილი იყოს მონაცემების სიღრმისეული ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზუგდიდის სსიპ - შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის დებულების საფუძველზე. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის

მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას ჯერ კურსდამთავრებილი არ ჰყავს, თუმცა დებულების მიხედვით, სტუდენტს საშუალება აქვს, სამაგისტრო კვლევის თემის შერჩევის პროცესში კონსულტაცია გაიაროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და თემის სპეციფიკის გათვალისწინებით აირჩიოს ხელმძღვანელი.

პროფესორ-მასწავლებლები მზაობას გამოთქვამენ სტუდენტებს კონსულტაცია გაუწიონ კვლევის დაგეგმვა-შესრულების პროცესში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ვინაიდან მასწავლების მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა ახალია, სამაგისტრო ნაშრომები არაა წარმოდგენილი. აკრედიტაციის ექსპერტები გაეცნენ მხოლოდ სხვა სპეციალობის მაგისტრატურის ნამუშევრების ნიმუშებს.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუებით და აკადემიური პერსონალის რეზიუმეების შესაწვლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტში, ზოგადად, მწირი გამოცდილებაა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის კუთხით. აღნიშნულს ეთანხმება თავად აკადემიურმა პერსონალიც. აკადემიური საბჭოს 11.012019 წლით დათარიღებული #1 დადგენილება *„შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“* განსაზღვრავს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევის წესს და პროცედურებს. აღნიშნული დებულება გადასახედია, რათა მასში ასევე მოხდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინება (კვლევითი კომპონენტის მოცულობის, კრედიტების რაოდენობის და ხელმძღვანელის შერჩევის ვადებთან დაკავშირებით). აღნიშნული დებულების მე-14 მუხლი პოტენციურ ხელმღვანელს უწესებს ვალდებულებას გააჩნდეს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. აკადემიური პერსონალის რეზიუმეების შესწავლის შედეგად, აღნიშნულის დადგენა ვერ მოხერხდა ინდივიდუალური გამონაკლისების გარდა, რაც ვფიქრობთ არ იქნება საკმარისი სტუდენტების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები
- აკადემიური საბჭოს 11.012019 წლით დათარიღებული #1 დადგენილება „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვლევითი და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის პროგრამის განხორციელებაში ჩართვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხიანი ხელმძღვანელობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პირები -

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის თანახელმძღვანელები (პროგრამას ყავს 2 თანახელმძღვანელი), აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულები არიან სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდს სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად *(აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“*). შიდა რეგულაციებით ასევე განსაზღვრულია, პროგრამის ხელმძღვანელის დებულება *(აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალვრო საგანმანათებლო პროგრამის ხელმძღვანელის დებულება).* <u>(სავარაუდოდ, ტექნიკური სახის პრობლემაა აკადემიური საბჭოს დადგენილების ნუმერაციასა და დათარიღებასთან დაკავშირებით. რამდენიმე დადგენილება ზუსტად ერთი და იმავე ნომრით და თარიღით გვხვდება)</u>. აღნიშული რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამაში ჩართული ზემოაღნიშნული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები.

როგორც მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების (ავტობიოგრაფიები) შესწავლისას გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივ სამეცნიერო საუნივერსიტეტო ჟურნალშია გამოქვეყნებული. ნაშრომების (სტატიების) თემატიკა, ძირითად შემთხვევაში, ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო ცოდნას და კომპეტენციას. კერძოდ, ნაშრომების უმეტესობა ეხმიანება ძირითადად საგნობრივ კომპეტენციას და ნაკლებად საგნის სწავლების მეთოდიკას / დიდაქტიკას. ასევე მწირია გამოცდილება კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის არც ერთი არ არის, რომელიც ეყრდნობა კვლევის შერეული მეთოდების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს. წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების, სტატიების მიგნებები, თითქმის ყველა შემთხვევაში, სამაგიდე კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ავღნიშნოთ რომ სასწავლო უნივერსიტეტში მოიპოვება სათანადო დარგობრივი კომპეტენცია სწავლის პროცესის ეფექტიანად წარმართვის, თუმცა, ამავდროულად, რთულია იმის დასაბუთება, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები იქნებიან, კვლევის მეთოდების, უახლესი დარგობრივი ცოდნითა და ამ ცოდნის შესაბამისი გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელებით. სამეცნიერო ხარისხის გათვალისწინებით და ტექნიკური თვალსაზრისით კი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (13 აკად. პერსონალი) და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება მაგისტრანტების რაოდენობას (სავარაუდოდ 30 სტუდენტის მიღების შემთხვევაში) და არ შექმნის სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელების დეფიციტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დანაკლსის შევსების მცდელობაა, პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების ჩართვა.

მოწვეული პედაგოგის სტატუსით უძღვებიან კურსებს საჯარო სკოლის მასწავლებლები და დირექტორები აკადემიურ პერსონალთან ერთად. ისინი პროგრამის თითქმის ყველა კომპონენტის (მეთოდიკა, პრაქტიკა, კვლევა) განხორციელებაში არიან ჩართულები. ისინი არიან უფროსი/მენტორი მასწავლებლები, არიან ასევე ტრენერები და აქტიურად არიან ჩართულები პროფესიული განვითარების აქტივობებში (ტრენინგები, კონფერენციები და ა.შ.). პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

საერთო ჯამში, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 24 მოწვეული პერსონალი. აღნიშნული რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (30 სტუდენტის მიღების შემთხვევაში) და უზურნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია უცხოელი მოწვეული ლექტორის პროგრამის განხორციელებაში ჩართულობა, თუმცა წარმოდგენილი პროგრამით არ დასტურდება თუ რა სახით იქნება აღნიშნული პირი ჩართული სასწავლო პროცესში.

პროგრამას ყავს ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დგინდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით. მისი სამეცნიერო შრომები - სტატიები ძირითად შემთვევაში, განათლების, კერძოდ კი, მეთოდიკის საკითხებზეა. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის მიერ მოწოდებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ის პროგრამის შემუშვებაში შედარებით პასიურად იყო ჩართული. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის თანახელმძღვანელი სრულად იყო ინფორმირებული პროგრამის როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის დეტალების შესახებ. იგი აქტიურად აწვდიდა ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შემუშავების სხვადასხვა დეტალების შესახებ.

სტუდენტების რეფლექსია მათი მხარდამჭერი სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის მომსახურების შესახებ ადასტურებს მათ კმაყოფილებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისინი პროგრამის კოორდინატორს მიმართავენ. კურსის შინაარსთან, მიმდინარე აქტივობებთან და დავალებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით კურსის ხელმძღვანელებს - ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საათები ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გარდა ამ საათებისა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ ლექტორს შეუთახნმდნენ დამატებითი შეხვედრებისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია ადმინსიტრაციულ საქმიანობაშიც. მაგ. სტუდენტთა მობილობისას პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს გავლილი კურსების თავსებადობის დადგენას შესაბამისი პროგრამის მიზნებთან.

აკადმიური პერსონალი ჩართულია პროგრამების, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის ხელშემწყობ აქტივობებში - შეხვედრები აბიტურირენტებთან და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასება • სამუშაო აღწერილობები - CV-ები • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი • აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“ • აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალვრო საგანმანათებლო პროგრამის ხელმძღვანელის დებულება • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია უნივერსტეტმა შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები მათი პროგრამის შინაარსის შესაბამისი მიმართულებით კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გასაძლიერებლად. სასწავლო უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სტატიები/მონოგრაფიები/წიგნები რეფერირებად ჟურნალებში გამოაქვეყნონ. • მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად აქტიურად ჩაერთოს პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში. • ცხადად გაიწეროს უცხოელი მოწვეული ლექტორის ფუნქციები და მოვალეობები და აღნიშნული ინფორმაცია სათანადოდ იყოს ინტეგრირებული პროგრამის დოკუმენტში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მოიზიდოს დამატებითი აკადემიური პერსონალი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია აკადემიური და ადმინისიტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმი სხვადასხვა შიდა რეგულაციის საფუძველზე. აღნიშნული მექანიზმების მიხედვით, უნივერსიტეტი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტის აკადემიურ, უნივერსიტეტთან აფილირებულ პერსონალს და ადმინისტრაციულ პერსონალს. აკადემიური და უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის შემთხვევაში აქცენტრირებულია კვლევითი და სამეცნიერო სამქმიანობა და შესაბამისი გამოცდილების დანერგვა სასწავლო პროცესში. ხოლო ადმინსიტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რეგულაცია და შესაბამისი ინსტრუმენტი აფასებს მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხს.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს *სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო დატვირთვის წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.19).* ასევე, აკრედიტაციის ექსპერტებისთვის მიწოდებულია *სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით #14, 20.04.2018).* აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 11 განსაზღვრავს პერსონალის პიროვნული და პროფესიული განვითარების/გაუმჯობესების პროცედურებს. შესწავლილი იქნა აკადემიური საბჭოს *დადგენილება #20, 16.042018 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი“,* რომლითაც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური დატვირთვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების ინდიკატორები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასების შედეგების გათავლისწინებით ხდება ადმინსიტრაციული პერსონალის ფუქნციების გადახედვა ან/და მათი დაწინაურება. აღნიშნული წარმოადგენს წახალისებს ერთგვარ ფორმას.

აკადმიური პერსონალის რეფლექსია მათი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ადასტურებს აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობას. ისინი აღნიშნავენ, რომ აღნიშნული მექანიზმი სიახლეს წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის და ის ნამდვილად ახდენს გავლენას მათ სამეცნიერო საქმიანობაზე და შესაბამისი მიმართულებით მათ მოტივაციაზე. უნივერსიტეტის ადამინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სწორედ აღნიშნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი გეგმავს სამეცნიერო პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობების - ტრენინგების, კონფერენციების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვას.

უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში (“Star”, “Integrity”), რომლებიც მიმართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სწავლებისას სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებაზე და სხვ. აკადმიურ, მოწვეულ და ადმინისიტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ აღნიშნულ პროგრამაში დანერგილია სწორედ პროექტ “STAR”-ის ფარგლებში მიღბული ცოდნა და გამოცდილება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი აქტიურად მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტს კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვის მოთხოვნით. ბუნებრივია, გამოითქვა სურვილი აღნიშნული ხარჯების გაზრდის თაობაზე, რაც კიდევ მეტ შესაძლებლობას მისცემს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ - წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით #14, 20.04.2018
- პერსონალის შეფასების პოლიტიკა
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო დატვირთვის წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.19
- აკადემიური საბჭოს დადგენილება #20, 16.042018 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი“

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რაც ცალსახად პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადებით, ბიბლიოთეკა ყოველთვის მზადაა შეიძინოს სილაბუსით განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად, გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისიწნებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რითაც დადასტურდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამეცნიერო პერსონალის წვდომას საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო ბაზებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ბაზებიდან რესურსების ჩამოტვირთვა, რადგანაც ბიბლიოთეკის თუ აკადემიურმა პერსონალმა ვერ წარმოადგინა ბაზებზე წვდომის კოდი. გარდა ამისა, ბაზებზე განთავსებული ლიტერატურა უცხო ენოვანია, შესაბამისად საეჭვოა რამდენად სისტემატურად ახერხებს აკადემიური პერსონალი თუ სტუდენტები ამ ინფორმაციის გამოყენებას. აღნიშნული საკითხი პრობლემურად შეფასდა თავად სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდანაც. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთკო რესურების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას საორიენტაციო შეხვედრებზე. ადგილზე

დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. სტუდენტებისთვის განკუთვნილია ასევე თავისუფალი სივრცე სწავლისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. სტუდენტებს, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, შეუძლიათ ლექციებზე ყოფნის პერიოდში, ბავშვი აღნიშნულ სივრცეში დატოვონ. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ინოვაციურია და ხელს უწყობს ინკლუზიური სწავლების უზრუნველყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული ბაზები, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული ბაზებიდან ინფორმაციის წვდომა. შესაბამისად, რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზების არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს შეიძენს. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭიროა შეიმუშაოს ეკექტრონულ ბაზებზე წვდომის წახალისების მექანიზმი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. სტუდენტებს, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, შეუძლიათ ლექციებზე ყოფნის პერიოდში, ბავშვი აღნიშნულ სივრცეში დატოვონ, შესაბამისად არ დარჩნენ უმაღლესი განათლების მიღმა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სამწლიან სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტში. აღნიშნული ბიუჯეტით გათვლისწინებულია ასევე ახალი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები. მათ შორის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები. თავისუფალ მეცნიერებათა საბაკალვრო პროგრამა სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი აქტიურად მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტს კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვის მოთხოვნით. ბუნებრივია, გამოითქვა სურვილი აღნიშნული ხარჯების გაზრდის

თაობაზე, რაც კიდევ მეტ შესაძლებლობას მისცემს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 12 იანვირს #01 დადგენილება „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი“ • წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული 2019 წლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი • სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ სამწლიან სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები • ფაკულტეტის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადმიური და მოწვეული პერსონალი).

ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ყოველი სემესტრის ბოლოს. სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ ისინი რეგულარულად აფასებენ ლექტორს, კურსს და საშუალება ეძლევათ ღია კითხვების ნაწილში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის შესახებ. ინტერვიუების შედეგად, ვერ დადგინდა თუ როგორ ხდება მიღებული შედეგების ინტეგრირება/გათვალისწინება სასწავლო პროცესისის შემდგომი დაგეგმვის და განვითარების მიზნით. აღნიშნულის შესახებ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სახის ოქმი, რაც მოგვცემდა საშუალებას გადაგვემოწმებინა შედეგების შედეგად განხორციელებული ცვლილებები. აქვე აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში საჭიროა სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარების დახვეწაც, სადაც ნათლად გამოჩნდება მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები.

ხარისხის უზურნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს იმ განსახორციელებელ აქტივობებს, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო წელს. აღნიშნულ გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის ფუნქციონირების თითქმის ყველა კომპონენტი - სასწავლო კურსების შინაარსის და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევების ჩატარება და სხვ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის შეფასებასა და ინტერვენციების დანერგვას ახორციელებს ხარისხის უზურნველყოფის სამსასხური შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნვეყოფის აქტივობებს - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის და წარუდგენს მას ხარისხის სამსახურს, რომელიც შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღებს გადაწყვეტილებს საჭირო ცვლილებების შესახებ. აკრედიტაციის ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი არაა სრულყოფილი, ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია ტექნიკურად გადმოტანილია სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაციებიდან და გარკვეული ტიპის ინფორმაცია საერთოდ არაა ასახული დოკუმენტში (მაგალითად, მატერიალური ტექნიკური ბაზის შესახებ სრული ინფორმაცია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრები შედეგები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 11 დეკემბრის #01-10/809, 2018 წლის 14 დეკემბრის # 01/10/810 სამსახურეობრივი ბარათები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა • სტუდენტთან გამოკითხვის ფორმები
რეკომენდაციები: • სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი ან/და ჩართულობა, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნვეყოფის აქტივობებს - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის და წარუდგენს მას ხარისხის სამსახურს, რომელიც შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღებს გადაწყვეტილებს შესაბამისი ცვლილებების შესახებ. •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურში არსებობს შესაბამისი რესურსი რათა დაიხვეწოს პროგრამის დაგეგმვის, შემოწმების და განხორციელების პროცესი. შესაბამისად, პირველ რიგში რეკომენდებულია

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ინსტრუმენტების დახვეწა. შედეგად, საჭიროა კითხვარების მიგნებების სიღრმისეული ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მათი სამუშაო პროცესში ინტეგრირების/გათვალისწინების მტკიცებულება. •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესს. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შესაბამისად არაა შესაძლებელი აღნიშნულის შესახებ დასკვნების გამოტანა. ზოგადად, უნივერსიტეტში არსებობს ავტორიზაცია/აკრედიტაციის შედეგების განხილვის პრაქტიკა, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებულ პროგრამაზეც გავრცელდება. აქვეა აღსანიშნავია, რომ გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს კომუნიკაცია აქვს უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ აღინიშნა, რომ გათვალისწინებული იყო ამ უნივერსიტეტების რეკომენდაციები, შედეგები, მითითებები. აღნიშნული განაცხადის დადასტურება ასევე შესაძლებელია იმ ფაქტით, რომ სასწავლო უნივერსიტეტის რამდენიმე ლექტორი, ასევე დასაქმებულები არიან და ჩართული არიან სხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროცესებში (მაგ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და პირიქით, წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებასა და

განხორციელებაში ჩართულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში მოცემულია უსდ-ის

სტუდენტების კონკრეტული საგნების/ლექტორების შეფასების კითხვარები, თუმცა როგორც სტანდარტი 5.1-ში აღინიშნა, აღნიშნული კითხვარები დახვეწას საჭიროებს, ხოლო ანალიზი მეტ სიღრმისეულ მიდგომას. თუმცა, აღსანიშნავია რომ პროგრამა ჯერ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად მოქმედი სტუდენტების შეფასების ანალიზი ვერ იქნება გათვალისწინებული. პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების საშუალებით. ვინაიდა პროგრამა ახალია, შეუძლებელია, ამ ეტაპზე, ვიმსჯელოთ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პრაქტიკაზე. თუმცა, წარმოდგენილი კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. რაოდენობრივი ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების (ქულების) და დასაქმების მაჩვენებლები. ტენდენციების გამოკვეთის, გაანალიზებისა და დასკვენის საფუძველზე ხოციელდება მიზეზების დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების ჩამოყალიბება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრების შედეგები • სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის დებულება • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები, ანალიზის დოკუმენტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ზოგადი განათლების დაწყებითი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: დასკვნა შედგება 53 გვერდისგან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მარიამ ბანძელაძე:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მიხეილ გიორგაძე:

თეონა კუპრაძე: